№ 187 სეკტემბერი 4, ოთხშაბათი 1891 სეკტემბერი 4, ოთხშაბათი № 187

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ,ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

**მართა მერაბის ასული, იოსებ და გრიგოლ ივანეს ძენი ასათიანები, სარა ივანეს ასული კოვალსკისა და გრიგოლ დიმიტრის ძე ფარულავა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—შვილისა, მეორენი—ძმისა და უკანასკნელი—ცოლის-ძმისა თვისისა **სერაფიონ ივანეს ძის ასათიანისა** და სთხოვენ პატივი სცენ და დაესწრნენ დასაფლავებას. მიცვალებულს დაასაფლავებენ სოფ. მესხეთში, წმ.გიორგის ეკკლესიის გალავანში, ნაშუადღევის 1-ლ საათზე. 5 სეკტემბერს

(2—114—1)

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის შესაფერს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** დღემდე სასულიერო სემინარიაში სწავლის ფასს ახდევინებდნენ ყველას, ვინც სასულიერო წოდებისანი არ იყვნენ. ახდევინებდნენ წელიწადში 40 მან. იმ მოსაზრებით, რომ ზოგნი ამისთანა მოსწავლეთა შორის იმიტომ-კი არ შედიოდნენ სემინარიაში, რომ ბოლოს ემსახურნათ ეკკლესიის სასარგებლოდ, არამედ იმიტომ, რომ სამოქალაქო და საერო სამსახურის უფლებანი მიეღოთ და სამხედრო ბეგრის გადახდაში შეღავათი ჰქონოდათ. ახლა უწმინდესს სინოდს შეუტყვია, რომ ბევრნი თურმე შედიან სასულიერო სემინარიაში ისეთი ღარიბნი არა-სასულიერო წოდების ყმაწვილნი, რომელთაც არავითარი ღონისძიება არა აქვთ სწავლის ფასის გადახდისა, ისე რომ მათგან სწავლის ფულის აღება სწავლის აღკრძალვას უფრო ემსგავსება, მაშინ როდესაც ბევრს მათგანს დიდი სურვილი აქვს სემინარიის საგნების სწავლისა, კეთილისა და სათნო ხასიათისანიც არიან და იმედიც არის, რომ ამისთანანი ბოლოს კარგს სამსახურს გაუწევენ სასულიერო წოდებასა და წმინდა ეკკლესიას. ყოველ ამის გამო უწმ. სინოდს გარდაუწყვეტია წელს განთავისუფლებულ იქმნან სწავლის ფასის გარდახდისაგან ისეთი შეგირდები არა-სასულიერო წოდებისანი, რომელთა დედ-მამანიც ღარიბებად იქმნებიან დასახულნი სემინარიის მთავრობისაგან. განთავისუფლებულნი იქმნებიან მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ, როცა სასულიერო უწყებაში დაიწყებენ სამსახურს, მაშინ გადახდეთ ზემოხსენებულის სწავლის ფასი წელიწადში 40 მან. იმდენს ხანს, რამდენს ხანსაც დაჰყოფენ სემინარიაში.

*** ბ. ყორღანოვს, რომელსაც თავისი მილის წყალი ჰქონდა გამართული ვერაზედ და ამას წინად ეს მილები ქალაქმა შეისყიდა იმისაგან, ამ დღეებში ქაღალდი მიუცია ქალაქის გამგეობისათვის და გამოუცხადებია, რომ ეხლანდელის წესით წყალის ძლევა მეტად ავიწროებს მკვიდრთა მდგომარეობას და ქალაქის მილები საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს ასი ათას მცხოვრებთა რიცხვსაო. ამ მდგომარეობის ასაცდენად ბ-ნი ყორღანოვი მთლად უთმობს ქალაქს წყლის ამოსაყვან მოწყობილობას, რომელიც მდ. მტკვარზედ გამართული ჰქონდა და დარჩა მისსავე მფლობელობაში, თუმცა წყლის მილები ქალაქმა შეიძინა. მიიღეთ ეს მოწყობილობა და ამუშავეთ წყლის ამოსაყვანადაო, აცხადებს ბ-ნი ყორღანოვი, მხოლოდ იმას-კი არ ამბობს ჯერ-ჯერობით, თუ რა პირობითა ჰსურს გადასცეს ქალაქს თავისი მაშინები.

*** ფოსტა-ტელეგრაფის დეპარტამენტს განუზრახავს ახალის საფოსტო მარკების შემოღება და ამის პროექტი უკვე გამზადებულიც აქვს განსახილველად.

*** ხშირად პოლიცია ქალაქის სამკურნალოში მიიყვანს ხოლმე ავადმყოფს, რომლის ვინაობა არც-კი იცის თვით პოლიციამ. ამისთანა ავადმყოფის შესანახი ფული ხშირად იკარგება და ქალაქს ედავებიან. რამდენმამე საბჭომ რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან აღძრა ამის შესახებ საქმე მთავრობის წინაშე და მოსთხოვეს, რომ ეს ხარჯი თვით სახელმწიფომ იკისროს ამ ჟამად მთავრობას ეს საქმე ისე დაუბოლოვებია, როგორც სასურველი იყო თვით ქალაქებისათვის. ხარჯის ასაღებად უნდა მიჰმართონ ადგილობრივს სახაზინო პალატას.

ამასთანავე ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ სახაზინო პალატა მხოლოდ მაშინ იტვირთებს ამ ხარჯს, თუ რომ ავადმყოფის ვინაობის შეტყობა ძნელია, ე. ი. რომელ საზოგადოებას ეკუთვნის, ან წოდებას, რადგან ყოველ ამისთანა შემთხვევაში ავადმყოფის სამკურნალოში შესანახი უნდა გადაიხადოს იმ მოქალაქეთა საზოგადოებამ, რომელსაც ავადმყოფი ეკუთვნის.

*** სამტრედიიდგან ბ-ნ იორდანე გიორგის ძის სიხარულიძისაგან ჩვენ მოგვივიდა ოცი მანეთი ფული: ათი მან. განსვენებულის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ და ათი მანეთიც წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლისათვის. განსვენებულის დ. ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდისა დღევანდლამდე გვქონდა 1785 მან. 29 კაპ., ამიანად შესდგება 1795 მან. 29 კ.

*** რადგან ამ ჟამად წიგნის მაღაზიებს დიდი ხალხი აწყდება, მეტადრე, რასაკვირველია, მოსწავლე, ნიწიგნების საყიდლად და ძლივს ასწრობენ დროზედ საჭირო სახელმძღვანელოების შეძენას, ამიტომ, თუმცა კანონით წიგნის მაღაზიები, როგორც ყველა სხვა, ამ გვარი სავაჭრო დაწესებულება კვირა დღეს დაკეტილი უნდა იყოს, მაინც ქალაქის თავმა, თავ. არღუთინსკიმ წიგნის მაღაზიის პატრონებს ნება მისცა წარსულ კვირას ევაჭრნათ. მომავალ კვირასაც, ამ თთვის 8-ს, ნება აქვთ ივაჭრონ. ქალაქის თავმა ეს გარემოება ტფილისის პოლიცმეისტერსაც აცნობა.

*** ეს ორი წელიწადია, რაც მთავრობა სცდის ყირიმსა და ჩვენს მხარეში თათრულის თამბაქოს მოყვანასა და შემუშავებას. ამ ცდამ დაამტკიცა რომ ამ ადგილებში სულ საუკეთესო და ძვირფასი თათრული თამბაქოც-კი მშვენივრად მოდის თურმე და ამიტომაც სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს თამბაქოს მოსაყვან სადგურების გამართვა იმ ადგილებში, სადაც უფრო მოდის თამბაქო. სხვათა შორის ამ სადგურებს ის დანიშნულებაც ექნება, რომ უნდა ასწავლონ კარგ თამბაქოს მოვლა-მოყვანა და მერე კეთებაც, ყველას, ვინც-კი მოისურვებს ამასაო, ამბობენ რუსეთის გაზეთები.

*** ცოტა ხანს შემდეგ რუსეთში უნდა გაიმართოს რუსეთის პროფესიონალისტების მეორე კრება. სხვათა შორის აქ უნდათ შეიმუშაონ საერო დებულება ყველა საქალებო საპროფესიონალო სკოლისათვის და პროგრამაც საგნების სწავლებისა. ამ პროგრამაში აუცილებლად მოთავსებული იქნება ხატვისა და ანგარიშის სწავლებაც. ეხლაც, მართალია, საპროფესიონალო სკოლებში ხატვას ასწავლიან, მაგრამ ყველგან არა; ამას იქით-კი სავალდებულოდ უნდათ გაჰხადონ.

*** დიდ ძალი პურის ზიდვა დაიწყეს ამ ბოლოს დროს რუსეთის მხრისაკენ. აქამომდე მარტო ბაქოზედ მიჰქონდათ პური, ეხლა

## ფელეტონი

### შეურიგებელნი

(პოლშურიდგან)

ვით საუკუნოდ გაუქრობელი ლამპარი, ისე ანთებულიყო გახურებულს ცაზედ ცეცხლის ბურთსავით მიკრული მზე და თავისის ცხოველის, ზაფხულის მწვავე ისრებით აქათქათებდა მდ. იორდანის მინდორ-ველსა. ებრაელთა დედა ქვეყნის მთელი არემარე, ერთის კიდიდგან მეორე კიდემდე, საშინელს მყუდროებას მოეცვა, თითქოს იქ დამკვიდრებულს ხალხს ხარჯის მომკრებ რომაელ მოხელეთა ბრბო შესევია და ან სიცოცხლის მომსპობელი ჟამი მოსდებიაო. ასეთი დუმილი და სამარის მსგავსი მყუდროება ხშირად ჰსუფევს იქ, სადაც ხორცის შესხმას აპირებს რომელიმე უდიდესი ღრმა აზრი, მაგრამ ყური ურიასტანისა დიდი ხანია მას შემდეგ, რაც შესჩვევია მტარვალის ბრძანებასა და იმისის ფარ-ხმალის ხმარებას; ჟამი ჯერ თუმცა შორს იყო, მაგრამ ძენი კაცთანი, როგორც ერთგულნი დარაჯნი, გარს შემორტყმიან თავიანთს რომაელ-მბრძანებელთ და სრულიად დაჰვიწყებიათ წარსული, მომავლისათვის არა ჰზრუნავენ, იმ მომავლისათვის, რომელიც ჯოჯოხეთურს გამოურკვევლობასა ბურანს მოუცავს.

დღეს შაბათია. მთელი ხალხი მზის გახურებულს ისრებს ემალება, მაღალის მთების განზედ წამოხრილს ჩრდილს თავს აფარებს და აქედგან ზეცაში მჯდომარე იეგოვას სამადლობელს ლოცვას უგზავნის. მაგრამ ალბად გახურებული ჰაერი, დამპალ ტბის წყალსავით ერთს ალაგს უძრავად გაჩერებული, დიდის მანძილის გავლის ნებას არ აძლევს. ამ ლოცვებს არა ჰგზავნის მაღლა მარადის-მყოფელის წინაშე, იმიტომ რომ იერუსალიმში, როგორც ღვთის მგმობელს ნიადაგზედ, ყოველივე წარყვნილა და წაბილწულა. ვინ წარმოიდგენს, რომ ღვთის მგმობელს სიტყვებს შეიცავდეს ის სამადლობელი ლოცვა, რომლითაც მაღლა ღმერთს შეჰღაღადებს მონების ჯაჭვით შეკრული ერი. ტაძრებში მწიგნობარნი და ფარისეველნი ერს ღვთის შიშსა და ცხოვრებაში გამოსაყენებელს მოძღვრებას ასწავლებენ.

მზე ნელ-ნელა ჰქრება და ალისფრად გალაპლაპებულა... ცის სივრცეში იკარგება სქლად ჩამოწოლილი ბინდი და თავის შავს ზეწარს აფარებს ქალაქსა და გრილი სიო სიცოცხლის მომგვრელის სისინით თან-და-თან უადვილებს ადამიანს სულის მობრუნებას. შორს, გალურჯებულს ცის კამარაში, ვარსკვლავები გამოიჰყიტნენ, თითქოს თავს ძალას ატანენ, რომ თავიანთი არსებობა ქვეყანას საჩქაროდ აუწყონო. დაყუჩებული ჰაერი მოძრაობაში მოდის. ქუჩებში ადამიანებმა ლანდივით დაიწყეს სიარული. სამარისებურს მყუდროების შემდეგ სიცოცხლისა და ცხოვრების ხმაურობა გაისმა.

მაგრამ აგერ ქალაქის შუა-გულ დიდის ტაძრის გალავანიდგან მოისმის ყვირილი, ყვირილი საშიშარი და შეუპოვარი, რომელიც მუქარითა და წყევა-კრულვით არის სავსე. ეს მთელი გროვა აჰრელებულის ხალხისა, ბრბო ვეცხლით მოსყიდულ ადამიანებისა, წივილ-კივილით და ქვების სროლით მოსდევდა ერთს თავის მსხვერპლს,—ერთს ადამიანს, რომელიც ხნიერობისა, თუ, უფრო საფიქრებელია, ნამეტანის გალახულობისა გამო ხშირად დედამიწაზედ ეცემოდა სასო-წარკვეთილი.

— გასწი, დაიკარგე აქედგან! გაისმოდა ჰაერში და შორიდგან გადმოწვდილი მაღალი მთები ამ გულსაკლავ სიტყვებს ბანს აძლევდა. ისიც მიდიოდა, იკარგებოდა. დევნულის პირს ბოროტი სიტყვა ერთხელაც არ წარმოსცდენია; შურის გების ნაღვლიანს გრძნობას ხელი მისი არ ჰნებდებოდა და სამაგიეროს გადახდას არ იმუქრებოდა. იგი მხოლოდ დროგამოშვებით თავის დიდრონს თვალებს ცას შეავლებდა და მწარე გამოუთქმელის წუხილით სჩიოდა: „ვიტანჯები“! მან ქუდ მოხდით მოიხარა და დასუსტებული ხელები ძირს დაუშვა. ქარმა აიტივტივა და აჰბურძგნა იმისი გრძელი, ხშირი თმა, რომელიც მხრებზედა სცემდა და ანგელოზურ პირი-სახეს უფარავდა. იგი შეუჩერებლივ მიდიოდა. გაორკეცებულს წყევა-კრულვასა და მუქარას იმისი ფეხი ვერ აეჩქარებინა. ნასროლ ქვებმაც-კი, რომლისაგანაც სამოსელი მთლად დაჰფლეთოდა, უკან ვერ მოეხედვინებინა. მსხვერპლის დამორჩილებამა და დამონებამ ვერ დააყრევინა იარაღი ადამიანის მწვალებელთა და ჩამომრჩობელთა. ეს შეუბრალებელნი იქამდის სდევნიდნენ იმას, სანამ ქალაქს გარედ, შორს

ბათუმისაკენაც ჰგზავნიან. ამ დღეებში განჯის გუბერნიიდგან 14 ვაგონი პური გაუგზავნიათ შიდა რუსეთში ბათუმის მხრით.

*** წარსულს კვირას მოჭიდავეს ნ. ესებუას გაუმართავს გორში ჭიდაობა, რომლის შემოსავლის ერთი ნაწილი ციხის მამგე კომიტეტის სასარგებლოდ შეუწირავს. ჭიდაობა ბ-ნ ალიხანოვის ეზოში გაუმართავთ და დიდ-ძალი მაყურებელი დასწრებია. თვითონ ესებუას არ უჭიდავნია, დაუჭიდავებია ქალაქელი ბიჭი, გვარად ურჯანოვი და ქართლელი ბესო ხვედურელი. როგორც გვახსოვს, ეს ორი აქაც, ჩვენს ქალაქში, შესჯიბრებიან ერთმანეთს და გამარჯვებული ურჯანოვი დარჩენილა. ეხლაც ესე მომხდარა. ესებუას 22 მანეთი შეუწირავს ციხის კომიტეტისათვის.

მომავალ კვირას, 8 ამ თთვეს, ესებუა ჭიდაობის გამართვას აპირობს დაბა აბაშაში; მესამედი შემოსავალი იქაურ სასწავლებლის სასარგებლოდ იქმნება გადადებული. თვითონ ესებუა იჭიდავებს მელიტონ კუპრაშვილთან და აქედამ მიჰყავს გლდანელის ძმა მიხა, რომელიც კოსტა გოგიავას უნდა დასჭიდოს.

*** ხაშური. შენს მტერს, ჩვენ მდგომარეობაში ვიყოთ აქაურის ყასბებისა და მეპურეებისაგან. სიძვირეს ვინ სჩივის, ოღონდ-კი დამპალი და უვარგისი არა მოგვაჩეჩონ-რა ხელში. სად არის და ვინ არის პატრონი, ხმის გამცემი! საგანგებოდ უნდა ეძიოს კაცმა, რომ ისეთი ხორცი იშოვოს, როგორსაც ჩვენს დაბაში ჰყიდიან გირვანქას 7 კაპ. პურიც, გირვანქა $3\frac{1}{2}$ კაპ. მაგრამ ქვას უფრო მოინელებს ადამიანი, ვიდრე აქაურს გამოუმცხვარსა და ქვიშა-ნარევ პურსა.

*** სოფ. იანეული (ოზურგ. მაზრა): მეტად შეწუხებული ვართ უხიდობით მდ. სუფსაზე. მართალია, ხიდი არის, მაგრამ ფეხით თუ გაისვლება, თორემ ურმით ზედ გავლას ვინც მოინდომებს, ჯერ ზიარება დასჭირდება. დიდი იმედი გვაქვს ეხლანდელის მამასახლისისა, რომ მალე მიხვდება ამ ხიდის დიდს საჭიროებას და შეკეთებას.

*** ქუთაისი: ხშირმა წვიმებმა ძალიან გააგრილა ჰაერი; მცირეოდენი ზარალიც-კი მოგვიტანა. უფრო ავნო ფერმის ნაპირებს. გაავდარდება თუ არა და მოდიდდება რიონი, აწვება ფერმას, ანგრევს ბეჯით მუშასავით მის ძვირფასს ნაპირებს და მიაქვს თან. განა არ შეიძლებოდა დაეფარათ ფერმა რიონის ტალღებისაგან? განა არ შეიძლებოდა იმისთანა მშვენიერი და ნაყოფიერი ხეები გადაერჩინათ, რომელსაც რიონმა ძირი გამოუთხარა, წააქცია და რიონში ყრია და ლპება? პირველშივე ადვილი მოსახერხებელი იყო ეს საქმე, მაგრამ ეხლა-კი ძნელია. მაინც იმედია მიაქცევენ ყურადღებას ამ საქმეს, ვისიც რიგია, და ამ ქუთაისის ერთად-ერთს ფრიად სასარგებლო სასეირნო და სულის მოსაბრუნებელს ადგილს წყალს არ წაალებინებენ.

*** რაჭა: ქვემო რაჭაში წელს ახალი ბოქაული გაგვიმწესეს. დიდი იმედი გვაქვს, რომ ახალი ბოქაული ეცდება თვალ-ყური ადევნოს სოფლის ცხოვრებას და გულ-მტკივნეული მზრუნველობა გაუწიოს ხალხს. რაჭაში მის დანიშნამდე მოუსვენარი ცხოვრება გვქონდა: ხშირი იყო ქურდობა, ავ-კაცობა, თავდასხმა და დაწიოკება მშვიდობიანის და გულ-დანდობილის მცხოვრებლებისა. ახალმა ბოქაულმა მოიარა სოფლები, დაარიგა ხალხი და სთხოვა მყუდროდ და მშვიდობიანად იცხოვრეთო. მშვიდობიანობისა, წესიერებისა და კანონის დამრღვეველს სასტიკად მოვეპყრობი და არას გზით იმის დანდობა არ შეიძლებაო. მკვიდრნი ჯერ-ჯერობით პატივისცემით ეპყრობიან ახალს ბოქაულს, რომელიც გულმოდგინედ და ხალისით ასრულებს თავის მოვალეობას.

*** გორი: 27 აგვისტოს გორს ოლქის სასამართლოს სესიაში განხილულ იქმნა საქმე თავ. ალ. ბეგთაბეგიშვილისა და აზნ. დ. დ. კალატოზიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ სიტყვითა და ხელის შეხებით გაწბილება და გაცარცვა ახალდაბის მღვდლის მ. ონოფრე გელაძისა. რადგან თავ. ალ. ბეგთაბეგიშვილი სასიკვდილოდ იქმნა დაჭრილი წელს, ფერიცვალობას, სოფელს რუისში და ამის გამო გარდაიცვალა, გამოძიებაში ჩავარდა მხოლოდ დ. დ. კალატოზიშვილი. ბრალდებულის დამცველი იყო ბ-ნი ტერსტეფანოვი. ბრალდებული დამნაშავედ არ იქმნა ცნობილი და სასამართლომ სრულიად განთავისუფლა დიდად სასიხარულოდ მის ახოვანის და ქართლში განთქმულის მამის ბ-ნ ჩიტო კალატოზიშვილისა, რომელიც თურმე დიდად სწუხდა, რომ იმის ერთად-ერთს შვილს ასეთი ბრალი დასდეს.

*** სოფ. ნიქოზი (გორის მაზრა): ზემო-ნიქოზში, იმ დიდის ტაძრის გარდა, რომელიც წმ. რაჟდენის სახელობაზეა აგებული მეშვიდე საუკუნეში და რომელიც ეხლახან იქმნა განახლებული, არის კიდევ ერთი პატარა ძველებური ეკკლესია, მთავარანგელოზის მიხეილის სახელზედ აგებული, ასე მეთორმეტე საუკუნეში. ეს პატარა ეკკლესია ქართულ დიდს ტაძრების გეგმაზეა აშენებული და მეტად შნოიანი და მოხდენილი რამ არის. მართალია, ძალიან პატარაა, მაგრამ უმშვენიერესი სანახავია. ჟამთა ვითარებისაგან მცირეოდენი განახლება ეჭირვებოდა. შარშან გრაფ უვაროვის მეუღლემაც ნახა ეს პატარა ტაძარი და ისე მოეწონა მისი სიტურფე, რომ ისურვა მისი განახლებაც. ფულიც შესწირა ამ საქმისათვის 300 მან., ვგონებ. ამ შეწირულებას მიემატა შეწირულება ეგზარხოსისა და განახლება პატარა ტაძრისაც უკვე წელს გაზაფხულიდამვე იქმნა დაწყებული. ამ ენკენისთვეში იმედია სულ გაათავდეს მისი შეკეთება და კურთხევის დღეც მაშინ დაინიშნება.

*** ქ-ბნ ნ. ღამბაროვისას ამ დღეებში შეუწირავს სომეხთ ნერსესიან სემინარიისათვის 3,000 მან. იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელი რამდენიმე წლის-წადი ხელ-უხლებელი დარჩეს და შემდეგ საჩუქრად დაენიშნოს ეჩმიაძინის აკადემიასა და ან ნერსესიან სემინარიაში იმ სწავლა დამთავრებულს, რომელიც ჩვენის მხრისა და მცირე აზიის ისტორიისა, გეოგრაფიისა და მწერლობის შესახებს თხზულებას დასწერსო. საჩუქრის მისასაჯავად სემინარიის მასწავლებელთა შორის ხუთი კაცი უნდა იქმნას ამორჩეულიო, ამბობს სომხ. გაზ. „არძაგანქ“-ი

*** ფინანსთა სამინისტროში ახალი პროექტი უნდათ შეიმუშაონ სხვა-და-სხვა ახალის რისამე მოგონების შესახებ. უნდათ უპირატესობა მისცენ მომგონს. ვინც უპირატესობას დაარღვევს მომგონისას, სისხლის სამართალში მიეცემა იმ გვარად, როგორც სხვის ქონებისა და საკუთრების მომტაცებელიო, იუწყება გაზ. „გრაჟდანინ“-ი

## დაბა ღ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ლანჩხუთი.** ამ ჩვენს არე-მარეზე ლანჩხუთი ბევრს რასმეს ეწოდება. ლანჩხუთი ჰქვიან სოფელს, საზოგადოებას, რკინის გზის სადგურს და, დასასრულ, დაბასაც. არ იფიქროთ, რომ ყოველისავე ამის შესახებ დაწვრილებით გელაპარაკოთ. მე რაც სათქმელი მაქვს—დაბის შესახებ მაქვს მხოლოდ. ეს ის დაბა გახლავსთ, რომელმაც რკინის გზის გაყვანის შემდეგ მოითქვა სული, წამოყოყოჩდა და ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაში სამაზრო ქალაქს ოზურგეთს ჯიბრი გაუწია. დიაღ, ლანჩხუთმა ვაჭრობა ამოიღო მხოლოდ მიზანში და სხვა არაფერი აინუნში არ ჩაუგდია. არ ვიცი, ამ გზაზე რამდენად დაწინაურდა ეს პატივცემული დაბა, ე. ი. არ ვიცი ხრიკიანმა ვაჭრობამ გაადოვლათიანა, მოსცხო რაიმე ქონი თუ არა, ხოლო ის-კი ნამდვილად ვიცი და სხვებმაც იციან, რომ ამ დაბაში ძალიან ყაირათიანი და მეტის-მეტად ხელ-მოჭერილი ხალხი სცხოვრობს. ასე გასინჯეთ, ლანჩხუთელები იმდენად ანგარიშიანნი არიან, რომ მსოფლიო კრების დაკანონებაზე მარხვისა და ხსნილის შესახებ უკმაყოფილონი არიან. ამბობენ, ხსნილი უფრო მომეტებულია წელიწადში და ეს არ ვარგაო. თუ მაინცა და მაინც არაფერი საშველია, ორი წილი მარხვა უნდა ყოფილიყო და მესამედი-კი ხსნილი, თორემ ამდენის სახსნილოს ხარჯი ფარსაგს არ დაგვამართებსო. ამის შემდეგ რაღა ეკიჟინება ლანჩხუთს, რაღა გაემტყუნება! როცა ხორციელს საზრდოზე ასეთის აზრისანი არიან, ადვილი მისახვედრია, თუ სულიერსა და გონებრივს საზრდოს როგორ ფეხ-მარდად გაურბიან. ბაზარი ლანჩხუთისა ოზურგეთისაზე მეტი თუა, თორემ ნაკლები მაინც არ არის და, წარმოიდგინეთ, რომ მხოლოდ ორი ქართული გაზეთი მოდის, მაშინ, როდესაც ნიგოითში, რომელიც უბრალო სოფელია, ხუთი და ექვსი ასეთივე გაზეთი იგზავნება.

კარგი, ამასაც თავი დავანებოთ: ქართველთათვის ესეც არ არის მიუტევებელი დანაშაული. ბაზრიდგან რკინის გზის სადგურამდე ათასიოდე ნაბიჯი გამოვა. ამ მცირე მანძილის გავლა არც დღე და არც ღამე უხიფათოდ არ შეიძლება. დღისით ტალახში და წუმპეში ამოისვრები და ღამით კიდევ ამ ბედნიერებას ისიც დაემატება, რომ, შეიძლება, თავიან ფეხიანად გაითხლართოთ ტალახში და იღრძოთ რამე.

რა დიდი საქმეაო, იკითხავთ, ათიოდ ურემი კენჭი და სილა, ხოლო ხუთიოდ ფარანი, რომ ერთი უსიამოვნებაც ასცდეს ადამიანს და მეორეცაო. სხვაგან, რასაკვირველია, არსად დიდი საქმე არ არის ეს, მაგრამ ლანჩხუთში, სადაც მხოლოდ ფული გამეფებულა და სხვა ყველაფერი დავიწყებულა, ეს დიდ საქმედ მიაჩნიათ, ისეთ დიდ და შეუძლო საქმედ, რომ აგერ ცხრა წელიწადზე მეტია, რაც აქეთკენ რკინის გზა გაკეთდა და ეს უბრალო საქმე აქნამდე ვერ გაუკეთებიათ.

თუ გნებავთ, ამ უსიამოვნო ამბავსაც ნუ მივაქცევთ დიდს ყურადღებას. მოვიშოროთ გულიდგან სიმკაცრე და ესეც მისატევებელ რიცხვში ვიანგარიშოთ. ის რაღასა ჰგავს, რომ ლანჩხუთის ბაზრის მიდამოებში ცხვირიან კაცს არ გაევლება. სისუფთავეს რაღა თავი უტკივა, ეს ვისი დასამადლისია, მაგრამ, შეიძლება, სხვა სიკეთესთან ერთად ლანჩხუთლებისათვის შემომქმედს ყნოსვის ნიჭიც გამოუწირავს. თორემ ამდენს ნეხვსა და ნაგავში, ამდენს უსუფთაობასა და სიბინძურეში, რამდენიც ლანჩხუთშია, ადამიანის ცხოვრება რა წარმოსადგენია!...

28 აგვისტოს ლანჩხუთს ეწვია ცნობილი მომღერალი, ჩვენი თანამემამულე ბ-ნი ქორიძე, რომელმაც კონცერტი გაჰმართა ცხოველის სურათებითა და სცენებით. კონცერტმა კარგად ჩაიარა, მაგრამ სამაგიეროდ ლანჩხუთლებმაც მხოლოდ იმ სახლის

---

ერთი მიუვალი და გავერანებული უდაბნო არ გამოჩნდა, რომელსაც ღამის სიბნელე ჰმეფობდა. მან თითქოს ვერ გაიგო, როდის და როგორ ჩამოეხსნა მდევარი. ტიტველა ფეხებს წყნარად და უგრძნობლად სდგამდა გამწვეტიანებულს ქვებზედ... წყევა-კრულვის ხმა თან-და-თან სწყდებოდა და შორიდგან სუსტად, კიაფ-კიაფად-ღა მოისმოდა, ხან-კი გახმაურდებოდა, როგორც ჩასაქრობად განმზადებული, მინელებული კოცონი. ბოლოს შეერია ჰაერის შრიალსა და სრულიად მიწყნარდა მთელი არე-მარე.

მყუდროებამ მოიცვა იქაურობა, როგორც სამყაროს შექმნის დროს. ხმა არსაიდამ არ ისმოდა, მხოლოდ დიდის ხნის შემწყდარი წყევა-კრულვა დევნულის ყურში კიდევ გრგვინავდა და სული მისი მწარე გრძნობას შეეპყრო. მაღალის მთების ბორცვებიდგან სავსე მთვარემ ამოაშუქა და იმ გაშლილს მინდორ-ველს მიაყენა თავისი ჩრდილი, რომელიც განუყრელად სდევდა თან ამ განძევებულს არსებას. იგი კვლავ შეუჩერებლივ მიდიოდა, ერთხელაც არ მიუხედ-მოუხედნია. თავ-ჩაკიდებული მიდიოდა, ცოტა აჩქარებით, თითქოს უნდოდა მალე მოშორებოდა იმ არე-მარეს, სადაც ადამიანის ჭაჭანი და ხსენება იყო. მთვარე სწორედ შუაღამის რკალს დაჰპირდაპირებოდა, როდესაც ფერხნი მისნი მთების აღმართს შეუდგა. დაშორებული ქალაქი ახლა ღამის სივრცეში სულ ერთიანად სთვლემდა. მხოლოდ აქა-იქ მკრთალის ნათელის მოთეთრო სხივი თვალს ოდნავ მოაჩვენებდა შორი-ახლო გარდაშლილს არე-მარეს და ცის მიბნედილს სახეს. აგერ, იმის წინ ამართულიყო თვალ-უწვდენელი ქვის კედელი მაღალის მთებისა. დევნული შეუდგა ამ მთების ნაპრალებს. ცივი ღამე იყო და ამიტომ ტანზედ მაგრად შემოიხვია თავისი თეთრი კაბა, რომლის კალთები ამდენს ხანს მიწაზედ მისთრევდა. ეს კაცი ისე გაჩქარებული მიდიოდა, რომ ის აღმართი და ზურგი მთისა სრულიად გაიარა და ვერ გაეგო, მაღალ მთის ქედზედ ისე ასულიყო. აქ შედგა. მთვარე, თითქოს დაიღალა ღამის ხანგრძლივის მოგზაურობითაო, მიმკრთალიყო და ჩასვლას აპირებდა. აღმოსავლეთისკენ ირაჟრაჟა. თუმცა მზე ჯერ არა სჩანდა, მაგრამ იმის ნათელს ისრებს მაინც საკმაოდ გაებრწყინვალებინათ შორიდგან გადმოწვდილი მთის წვერები. ბინდი თანდათან ჰქრებოდა. დილის ნათელი მორცხვს პატარძალსავით მოწიწებით და ნაზად ეპარებოდა საუცხოოდ მორთულს თვალ-გადასავლებელს არე-მარეს. მთის სიმაღლენი თოვლივით განსპეტაკებულს ხავერდში გახვეულიყვნენ და შორიდგან ალმაცერად გადმოსცქეროდნენ ბევრის ვაების მოწამეს მდ. იორდანის მინდორ-ველს. წყვდიად ღამის შემდეგ მომღიმარე და მოკეკლუცე ბუნებამ მოჰხიბლა ეს უცხო ადამიანი და იმის მწარედ დანაოჭებული შუბლი გაიხსნა და გაიტკიცა: ის მოტრიალდა და პირი ქალაქისაკენ მიიბრუნა, რომელიც ამ წამს, მზის პირველ სხივებით განათებული, კალმით აუწერელს უცხო სურათს წარმოადგენდა და, როგორც დიდების მოყვარე მშვენიერი ახალგაზდა დედოფალი, სადღესასწაულო ტანისამოსში ეხვეოდა. მან ხელები ცისკენ აღაპყრა და ბაგენი ოდნავ აღძრა შესანდობარ სიტყვების სალაღადებლად. აჰა, მის ფერხთა ქვეშე გაფენილიყო მშვენიერი სურათი ბუნებისა, რომელიც ტურფად გადაშლილიყო ხმელთა-შუა ზღვის ზვირთებიდგან მოყოლებული იმ მთების კალთამდის, რომელზედაც იგი იდგა. ჰხედავს, გასცქერის ურიცხვს ადამიანის კარ-მიდამოს, ამდენს თვალთაგან დაფარულს კუთხე-ყურეს და ყველგან ტანჯვაა, ყველგან ნაღველი და სევდა, მწუხარება, სინიდისსავით დაუძინებელი, ბედსავით განუშორებელი... ყველგან გამოუთქმელი, მუნჯი სასოწარკვეთილებაა და ლოდინი უკეთესის დრო-ჟამისა... ყოველ სახლის ჭერს ქვეშიდგან კვნესა-წუხილი გაისმის... ღრმა ფიქრს მისცემოდა და იდგა იგი უძრავად და თვალ-გაშტერებით გასცქეროდა მიდამოს. აზრმა გადააბიჯა იმ არე-მარეს, რომელიც თვალით მოსჩანდა, ფრთები შეესხა, შორს გასწია, და მთელი ქვეყანა წინ წარმოუყენა. ყველგან, ყოველგან ერთი და იგივე ამბავია. მიწის ყოველ პაწია ადგილიდგან მწარე კვნესა მოისმის და გულ-დაწყვეტილი სასო წარკვეთილი ტირილის ხმა მოსთქვამს: „ვიტანჯები, ვიტანჯები, მიშველეთო!“ იმასაც ესმოდა ეს მოთქმა მოკლულის, მძიმედ დაჭრილისა ღ დაავადმყოფებულის გულისა და ეს მოთქმა ცეცხლის ალივით ედებოდა იმის გულ-მკერდს. იმისი სული თითქოს ზედ დაჰფრინავდა, ნათლადა ჰხედავდა მთელის კაცობრიობის ტანჯვასა და იცოდა, რომ ურიცხვი ხელი იმისაკენ იყო გამოწვდილი და შემწეობას ითხოვდა.

— „გამოგვიხსენ ჩვენ, გვიხსენი, მეტი ძალი აღარა გვაქვს, რომ ვიტანჯოთ!“

მან მიიხედ-მოიხედა და თვალი გარეშემოს შეაჩერა. მოღრუბლულს წარ-

სიახლოვეს, რომელშიაც კონცერტი იყო გამართული, ჩაიარეს და შიგ-კი არავის ფიქრად არ მოსვლია შეხედვა.

— მანეთი (პირველი რიგის ბილეთი მანეთი იყო) მქონდეს, თვარა ერთს ფუთს ლობიოს ვიყიდი და ერთს წელიწადს გვეყოფა მე და ჩემს ცოლშვილსაო, ამბობდნენ.

ამ ნაირად ვინც-კი ამ კონცერტს დაესწრო, სულ გარეშენი იყვნენ და თითონ ლანჩხუთიდგან ათში ერთს ვერ დაინახავდით. ქორიძემ ეს შეამჩნია, მიხვდა, რომ ლანჩხუთლებს ესტეტიკური გრძნობა არ მოეძევებათო, და მეორე ღამესაც გაჰმართა კონცერტი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ვერავინ მიიტყუილა. ვინც-კი დაესწრო, სიმართლე უნდა აღვიაროთ, ძლიერ მოეწონათ ქორიძის სიმღერები. ბევრი ტაშის კვრა და „ხახაში ვენაცვალეს“ ძახილი იყო.

ლ. ლანჩხუთის მახლობლად იოანე ნათლის მცემლის ეკკლესიაზედ თავის კვეთას დღესასწაულობენ. აქ ამ დღეს გურია-სამეგრელოდგან დიდძალი ხალხი იყრის თავს. წელსაც, მიუხედავათ იმისა, რომ წინა დღით ავდარი იყო, ბევრი ხალხი შეიკრიბა და ხალხზე მეტი კიდევ მიმინოები იყო გასასყიდად მიყვანილი. წირვა ლოცვას აბა ვინ დაგიდევდა, ყველა მიმინოს სინჯვასა და ვაჭრობაში იყო გართული. აქ ცხადად დაინახავდა კიცი, თუ რამდენად უსაქმო, რამდენად ქარაფშუტა და დრო-ჟამის მჭამელია ჩვენი ხალხი და, განსაკუთრებით, ჩვენი თავად-აზნაურობა.

ამ დღეს აქ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი ბრძანდებოდა მწირველი, რომელმაც დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა.

წირვის შემდეგ შესხდნენ ჩვენი რაინდები ცხენებზე, გააძუგ-გამოაძუგძუგეს, ერთმანეთს ჩხირები ესროლეს და იძახოდნენ: „ერთი შემოგვხედეთ რა ჯირითობა გავაჩაღეთო“. „კარგი თქვენ მოგივათო“, უპასუხებდნენ მხცოვანი კაცები, რომელთაც კარგად იცოდნენ, რაც იყო ძველს დროში ჯირითი და როგორი თამაშობა და სიმარჯვეც უნდოდა.

მეორე დღეს, 30 აგვისტოს, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს, ყოვლად სამღვდელომ ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკკლესიაში სწირა და პარაკლისი გადიხადა. შემდეგ შემთხვევის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ტახტისა და მამულის ერთგულების შესახებ. აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ თუ აღმოსავლეთ საქართველოში მოხდენილის ხმითა და შნოიანისა და გარკვეულის სახარების კითხვით კარგარეთელია განთქმული, ამ მხრით დასავლეთ საქართველოში ყოვლად სამღვდელო გრიგოლის მთავარ დიაკონს ხოშტარიას უნდა დაეთმოს პირველი ალაგი. ბევრჯელ მინახავს, რომ ხოშტარიას რიხიანის ხმისა და გარკვეულისა და ლაზათიანის კითხვის გამო ხალხი აღტაცებაში მოსულიყოს. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოვლად სამღვდელო გრიგოლმა უკვე მიმოვლო მთელი გურია, უკვე ყველა სოფელი და ეკკლესია დაათვალიერა. ბევრგან, როგორც ამბობენ, ეკკლესიის ასაშენებლად ადგილის ამორჩევისა გამო ერთმანეთთან შეჯიბრებული და დას-დასად გაყოფილი მრევლი მოარიგა და ერთობა ჩამოაგდო. ამასთანავე ბევრს ალაგს მრევლი და მღვდელი ვერა თავსდებოდა ერთმანეთში და ისინიც მჭევრ-მეტყველურის ჩაგონებითა და დარიგებით მოაწყო და მოათავსაო.

იმავე დღეს მისი ყოვლად უსამღვდელოესობა სამეგრელოს გაემგზავრა.

კალამი

---

**დაბა ხობი.** (ზუგდის მაზრა). ხობში ძველის დროიდგან არსებობს მშვენიერი მონასტერი ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის. აშენებულია მაღალ მთიან ადგილზედ და გარშემო უძევს მშვენიერი ველი და მინდორი, ხე-მამულებით დაბურული. აქ, ველზედ, ყოველ წლობით იმართება იარმუკა პირველ მარიობისთთვიდგან 18-მდე და ეძახიან „ხობის მონასტრის იარმუკობას“. წრეულსაც ხობის მონასტის იარმუკა შესანიშნავად იყო მოწყობილი ჩვეულებრივ: დროებით გამართეს კარვები, უანგარიშო საქონლით გამოტენილი. დარიც მშვენიერი და სასიამოვნო დაუდგათ და აღებ-მიცემა გვარიანი იყო. ერთის სიტყვით, რამდენსაც ელოდდნენ მოგებას წრეულს ხობის ვაჭრები, ერთი ორად მეტი მოიგეს და სხვიდგან ჩამოსული ვაჭრებიც დიდად კმაყოფილნი დარჩნენ. ამდენმა სხვა სოფ. დაბა - ქალაქიდგან ჩამოსულმა ხალხმი და საზოგადოებამ ისურვა თავის შესაქცევი ან რამე საინტერესო წარმოდგენა გაემართათ და მთელმა საზოგადოებამ მიჰმართა ჩვენს მოჭიდავეს ნ. ესებუას და სთხოვა, ჭიდაობა გაემართა. ესებუაც დაეთანხმა და აღუთქვა, რომ 10% მოგროვილ ფულისას მონასტრის სასარგებლოდ შევწირავო. შემდეგ ქ. ფოთში დააბეჭდინა აფიშები ზუგდიდის მაზრის უმფროსის ნება დართვით, და თავის მოპირდაპირედ გამოითხოვა ტფილისიდგან სახელ - განთქმული მოჭიდავე კულა გლდანელი. შემდეგ ამოარჩია ერთი მშვენიერი მოედანი, იქვე ახლოს და ფიცრით შემოზღუდა წრე.

ჭიდაობა ამ განთქმულ ფალავნებისა იყო დანიშნული 14-სა, ნაშუადღევის 4 საათზე, რადგანაც ამ დროს ხალხი მოზღვავებულია. წინა დღესვე, ე. ი. 13-სა, ტფილისიდგან მოჭიდავე გლდანელი დაფა ზურნით ჩამოვიდა ხობში. დანიშნულს დღეს ბილეთების საყიდლად მოაწყდა ხალხი, რომელიც ჭიანჭველასავით ირეოდა. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მანეთიან ბილეთს ორ მანეთად ჰყიდულობდნენ. დასაჯდომი ადგილისთვის ბილეთებს ველარ ჰშოულობდნენ. აგერ გამოვიდნენ თავიანთ ტანის სამოსით ფალავნები საჭიდაოდ. ამ დროს გამოვიდა დუქნიდგან თავისის ექვსის ყაზახით ზუგდიდის ბოქაულითანაშემწე ბ-ნი გაბუნია და დასძახა ყაზახებს: „ჰკათ მაგათაო“. მივარდნენ საჭიდაო წრეს და ერთს წამს ყოველივე საჭიდაო მორთულობა მილეწმოლეწეს, სულ ლუკმა-ლუკმა აქციეს. ამასთან მიადგნენ ხალხს და სულ მათრახების ცემით მირეკ-მორეკეს. ყაზახების შიშით საწყალი დედა-ქალები ერთმანეთს ეცნენ და სცნენ დიდი წივილ-კივილი შეიქმნა.

ამ დროს რაღაც ჟივილ-ხივილი მოისმა. თურმე იქ, სადაც ბ-ნი გაბუნია შეექცეოდა პურს, ხანჯლების ტრიალი ასტყდა და ერთმანეთს ჩხვა დაუწყეს. სხვათა შორის ბრძოლაში ერთს უბრალო საწყალს გლეხს იარაღს გული გაუპეს.

---

## წვრილი ამბავი

ბერლინიდგან იუწყებიან, რომ გერმანელ მუშათა შორის ნავთით სიმთვრალე და ლოთობა ვრცელდებაო. ვინც ნავთსა ჰხმარობს სასმელად, იგი ხვდება, შეიშლება და რამდენისამე საათის განმავლობაში ასეა გახკებული. მეორე დღეს-კი უეცრად საშინლად სუსტდება და უძლურდებაო.

— ახალი წინასწარმეტყველება. ეპისკოპოსი შტროს-მაიერი, ავსტრი-ვენგრიის გაზეთების სიტყვით, წინასწარმეტყველებს, რომ 1894 წ. ევროპის ომი და ბრძოლა ასტყდებაო: ომსა და ბრძოლას ბალკანეთის ნახევარ-კუნძული გამოიწვევს და ბოსნია და ჰერცოგოვინა ასტეხავს და გააძლიერებს. ამ ბრძოლას საოცარი შედეგი მოჰყვება. პირველ ბრძოლათა შემდეგვე ევროპაში საერთო რევოლიუცია და ამბოხება ასტყდება. ევროპის რუკა სულ ერთიანად შეიცვლება. ვენა დაეკუთვნება გერმანიის დიდს რესპუბლიკას, რომელსაც შეუერთდება აგრეთვე ზემო და ქვემო ავსტრიაც. იტალია საფედერაციო რესპუბლიკად გადაიქცევა და პაპის სამფლობელო იქნება და მმართველადაც და პრეზიდენტადაც პაპი ეყოლებაო.

— პარიჟითიდგან იუწყებიან, რომ ვიღაც ახალგაზრდა რუსი შეიშალა ვაგნერის ოპერის „Parsifal“-ის წარმოდგენის შემდეგაო. როცა თეატრიდგან დაბრუნდა, თავისის ოთახის ფანჯრიდგან ქუჩაზედ დაიწყო სროლა ოქროსი, ვერცხლისა, თეთრეულისა და ყველაფრისა, რაც-კი ჰქონია. ეს კაცი სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში წაუყვანიათ.

— „Scientifical American“-ი იუწყება, რომ ამერიკელმა ქალმა მისს დებარრმა მშვენივრად დაიჭირა ეგზამენი და გზათა უწყების ხუროთ-მოძღვრის მოწმობა მიიღოო.

— გრენლანდიაში ესკიმოსებისათვისაც გამოდის გაზეთი. ამ გაზეთის რედაქტორი ვარს მელლერი შესანიშნავი კაცია, რადგან რედაქტორიც ის არის, ასოთამწყობიც, მბეჭდავიცა და დამტარებელიც. თავისი პაწია სტამბა გოტჰადოში აქვს გამართული და აქედგამ ხან ერთს ალაგს გადააქვს ასპარეზი თავისის მოქმედებისა და ხან მეორე ადგილას, რომ ყველგან განანათლოს თავისი თანამემამულენი. წარმოიდგინეთ, გაზეთი არსებობს იმ ხალხში, სადაც სასწავლებელი ნიმუშად არ მოიძებნება. მაშ კითხვა როგორ უსწავლიათო, იკითხავთ. აი როგორ: მელლერი პირველად მხოლოდ სურათებსა ჰბეჭდავდა თავისს გაზეთში, რომ ცნობის მოყვარეობა გაეღვიძებინა თავისის კითხვის არა მცოდნე მკითხველებისათვის. შემდეგ დიდრონის ასოების ბეჭდვაც დაიწყო, მერე ასოები სიტყვებად შეაერთა, სიტყვები წინადადებებად და პაწია მოთხრობებსაც დაუწყო ბეჭდვა. ამ გვარად მელლერმა კითხვა ასწავლა მთელს თავისს თანამემამულეებს. ესკიმოსნი დიდის ნდობით ეკიდება მელლერს და ამბობენ, რომ ღვთის კაციაო. განსაკუთრებით ის მოსწონთ იმისი, რომ ერთს ალაგს არ იკიდებს ბინას და ყველას ეწვევის სულიერს საზრდოსაო. მელლერის გაზეთის რამდენიმე ეგზემპლიარი ამას წინად დანიაში მიუვიდა ერთს სალიტერატურო საზოგადოებას და ამ საზოგადოებამ ხელით საბეჭდავი კარგი მანქანა, ქაღალდი და ახალი ასოები გაუგზავნა ამ შესანიშნავს რედაქტორს საჩუქრად.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, მცირეოდენი ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ წერილს სიმართლის აღსადგენად. „ივერიის“ მე-174 ნომერში ამბობს ვიღაც კორესპონდენტი სხვათა შორის შემდეგს: „ამ მესამე წარმოდგენამ (ს. ქვემო-მაჩხაანში) ცუდი ზედ-მოქმედება იქონია მაყურებლებზე, რადგან წარმომდგენლებმა სრულიად არ იცოდნენ თავიანთი სათქმელი; ამას ისიც დაუმატოთ, რომ სცენაზედ მუდამ უადგილო სიცილი და ერთმანეთს შორის ლაპარაკი ბევრი იყოვო“. საოცარზედ საოცარია ასეთი საყვედური, როდესაც როლებიც კარგად იცოდნენ (გარდა ერთის უმნიშვნელო როლის ამსრულებლისა). იცინოდნენ მხოლოდ იქ, სადაც სიცილს თხოულობდა თვით როლი და მაყურებლებზედაც სამჯერვე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, მეტადრე ქალების რიგიანმა თამაშობამ. უფრო დიდის მადლობის ღირსნი იყვნენ და არიან ქალები დაუზარებელის შრომისათვის და საერო ნორჩის საქმის გულითადის თანაგრძნობისათვის. დღეს ჩვენ სალვინები და პატეები დედა-ქალაქშიაც არ მოგვეპოვებიან; ისიც დიდ ღვთის წყალობად არის ჩასათვლელი, რომ რამდენჯერმე წარმოდგენა იმართებოდეს საქველ-მოქმედო საქმისათვის იმ მიყრუებულ სოფლებში, სადაც ქვეყნის შექმნიდამ ზოგს

---

ბებს ქვეშ თვალები ანთებოდა და ნაპერწკლებს ისროდა, თითქოს განთავისუფლების და შემწეობის ხელს ეძებენო. მან თავისი თვალი მთელს ხილულს ქვეყანას გადაავლო და არსად არა დაინახა-რა სანუგეშო. ხელები ძირს ჩამოჰყარა და დაქანცული თვალები დედამიწას დააჩერა, შუბლი შეიხარა, ქვის გამოშვერილს წვეტზედ ჩამოჯდა, მუხლებზედ იდაყვ-დაყრდნობილი მკლავები ბოძებად ნიკაპს შეუყენა, ხელები პირი-სახეზედ მიიფარა და აზრმა ღრმა უძირო ფიქრის ზვირთებში შესცურა... ერთს ადგილად გახევებული იყო იგი დიდ ხანს ღ ჰფიქრობდა, უკვირდებოდა ღ ისმენდა ათას გვარს სურათსა და ხმას, რომელთაც იმისი სწრაფად და მძლავრად მომუშავე აზრი და ფიქრი წინ წამოუყენებდა და წარმოუდგენდა. სარკესავით ნათელი და ანკარა აზრი ასურათებდა და აელფერებდა ცხოვრების ყოველს სულის თქმას, როგორც ჯადო მოსმული მომღერალი არშიყი ქალი. მაგრამ სარკეში სახის მოჩვენება წუთიერია და უნიადაგოდ ჰქრება, თვალთ-მაქცი მომღერალი არშიყი ტიტველის გულ-მკერდით გეპატიჟება და ახალს გრძნობიერს ჰანგსა და ჭიკჭიკს ეპირება, იმ ადამიანის აზრი-კი საუკუნოდ იმარხავდა სულის სიღრმეში ყოველს ნახულსა და გაგონილს ტანჯვა-მწუხარებას.

დიდ ხანს იჯდა იგი ასე და კაცობრიობის უბედურს ცხოვრების ამიცანას ჩაჰღრმავებოდა... სწორედ ამ დროს უეცრივ შორიდგან ჰაერში გაისმა ხმა, რომელმაც მაღალის მთების მყუდროება დაარღვია.

— იესო, იესო!

იმას არ ესმოდა ეს ძახილი.

— იესო, იესო!—გაისმა უფრო ხმამაღლა.

იგი შეკრთა, თავი მაღლა ასწია და განცვიფრებული დაიწყო ყურება. სქელი, ტყვიის ფერი ნისლი გარს შემოჰხვევოდა. ამ უშველებელ ჩამოწოლილ ღრუბლების ნაჭრებიდგან გამოისმოდა შეუწყვეტელი ძახილი:

— იესო!

— ვინ მეძახის?—ჩუმად ჩაილაპარაკა იესომ.

უკანასკნელად გაგონილი ადამიანის ხმა ზარივით ზუზუნებდა იმის ყურებში და რაღაც სასტიკს დაუზოგველობას ჰხატავდა... ამიტომ აქ, ამ უდაბნოში, ასეთი ძახილი მეტად აკვირვებდა.

— იესო, იესო!—გრგვინვასავით ჰქუხდა ძლიერი და შეუპოვარი ხმა ახლა სულ ახლოს.

— ვინ არის, რომ მეძახის, აქა ვარ!

შავად ჩამოწოლილ ნისლიდგან თანდათან ირკვეოდა და ნათლად მოსჩანდა უშველებელი ხორც-შესხმულ არსების საშინელი სურათი.

— გამარჯობა შენი!—უთხრა მოსულმა და იმის წინ გაჩერდა. კურთხეულ არს გულ-მკერდი იმ დედისა, რომელმაც ასაზრდოა შენი მშვენიერი არსება.

— რა გინდა ჩემგან?—ჰკითხა იესომ, რომელიც ამ დროს ზეზედ წამოდგა და უცნობის კაცის აგებულებასაც თვალიერება დაუწყო.

ნახშირივით შავი სხეული დაფლეთილ ტანისამოსის კალთებიდგან უჩანდა. მუხის ძირივით მაგარი და მძლავრი ხელ-ფეხი ჰმოწმობდა, რომ დაუნდობარს ბედს მისთვის მძიმე, აუტანელი შრომა ერგუნებინა. იმის შავ პირის-სახიდგან მოხუშული გამოიცქირებოდა ორი თვალის კაკალი, რომელნიც წარბებს ქვეშ ღრმად შევარდნილიყვნენ; ერთი-ერთმანეთზედ მაგრად მიკრული ტუჩები მხოლოდ ლაპარაკის დროს იხსნებოდა და თეთრს კბილებს და სისხლსავით წითელს ღრძილებს აჩენდა.

— იესო, ძეო იოსებისაო!—დაიწყო მან იერიქონის საყვირის ხმით: მე ვნახე, როდესაც შენ თვალი, რომელშიაც წინასწარმეტყველის ცეცხლი ჰღვიოდა, ბედკრულს ხალხს გადაავლე და მოყვასის სიყვარულს ასწავებდი. ვნახე, როდესაც შუაზედ უყოფდი და ისე აძლევდი შავის პურის უკანასკნელს ლუკმას ყველასაგან მოძულებულსა და განძევებულს მათხოვარს. ვნახე როდესაც ჰკუა შეშლილი, ვეცხლით მოსყიდული ბრბო ქალაქიდგან გდევნიდა და ძაღლებს უყრიდა საჭმელს, იმ საჭმელს, რომელსაც შეეძლო ურიათ ხალხის საკეთილდღეოდ შენი სიცოცხლე დაეცვა და შეენახა. ვნახე ყოველივე ეს და აქ მოვედი, რომ ხელი ხელს მოგცე და ძმობა გაგიწიო.

მან გაუშვირა ხელი, მაგრამ იესომ არ ჩამოართვა: მისი მშვიდი თვალები ფრთხილად და უნდობრად მისჩერებოდა უცნობ ადამიანის სახეს.

— შენ ვინა ხარ?

— მე ერთი იმათგანი ვარ, რომელნიც ღმერთს აუჯანყდნენ იმიტომ, რომ მან, როდესაც ჰბრძანა, პატივი მეცითო, მაშინ ამით ხალხს მონებრივი ცხოვრება აღუთქვა. მე და ჩემი ძმანნი ვიბრძვით თანასწორობის სახელით, შენსავით დევნილნი და დაწყევლილნი, იმ თანასწორობის სახელით, რომელიც ღვთის არსებობამ შეჰლახა. მოგვეცი ხელი, დაგვეხმარე და შემოგვიერთდი...

ძე იოსებისა ხმას არ იღებდა.

— ხმას არ იღებ?.. წავიდეთ, ნუღარ იცდი, წამომყე ჩვენს ძმებთან.

— ვერა, ვერ წამოგყვები.

განცვიფრებამ მოიცვა მოსული ადამიანი და თვალები სულ ერთიანად გაუშტერდა.

(დასასრული იქნება)

თეატრის სახელიც არ გაუგონია და პირველად თეატრის მნახველი და არ-მნახველი გულით სთხოვს მოთამაშეებს: „კიდევ გამართეთო“. ხსენებული კორესპონდენტი-კი გაიძახის: „წარმოდგენამ ცუდი ზედ-მოქმედება იქონია მაყურებლებზეო“. ეჰ, მახლას! სამწუხარო ის არის, რომ დღეს ჩვენში ხშირად ისინი კრიტიკოსობენ, ვინც ცხენს ვერა დაკლო-რა და უნაგირს წაუშინაო და ვისაც თავის გამოჩენის სურვილი-კი დიდი აქვს და ცოდნა—იოტის ოდენა.

მაყურებელთაგანი დ. ნ-ძე

## დეპეშა

2 სექტემბერი

**პეტერბურგი.** „Нов. Время“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოში შეტანილია იმისი პროექტი, რომ ახალი შტო იქმნას გაყვანილი იმიერ-კასპიის რკინის გზისა—კრასნოვოდსკიდგან მოლლა-კარამდე.

იგივე გაზეთი ამბობს, რუსეთის რამდენსამე ფულიანს კაცს განზრახვა აქვს შუამდგომლობა დაიწყოს, რომ ნება დაგვრთეთ მდ. ამუ-დარია კასპიის ზღვას ხომალდისათვის სასიარულო არხით შევუერთოთ და ჩვენისავე ამხანაგობის ხომალდები დადიოდნენ ამ არხზეო.

გუშინ წავიდნენ: საერო განათლების მინისტრი ზოგიერთ სამოსწავლო ოლქების დასათვალიერებლად და სახელმწიფო ქონებათა მინისტრით—ვეზის მრეწველობის შესასწავლად. სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ჯერ ასტრახანამდე წავა, მერე ცარიცინამდე აივლის, ყირიმისაკენ გაემართება და აქ შემოდგომას მცირეს ხანს დაჰყოფს.

**სტოკჰოლმი.** აქ არის სტუმრად იტალიის პრინცი.

**პარიჟი.** გუშინ სერბიის მეფე ბელგრადს წავიდა.

**ზანზიბარი.** ზალევსკის ექსპედიცია სრულიად ამოსწყვიტეს ადგილობრივ მკვიდრთა; 10 აფიცერი, მოკლული და 300 ზანგი. თეთრკანიანებს შორის ხუთი ისე დაიკარგა, რომ იმათი ამბავი არა იციან-რა. ექსპედიციას მოაკლდა ხუთი ზარბაზანი და საკმაოდ იარაღი.

პეტერბურგის ბირჟა, 31 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 58 | 7, 58 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150½ | 151½ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 238 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 229¼ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, დამასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი


გრ. ჩარკვიანის
**სტამბა და წიგნთ საწყობი**
გადავიდა
მიხეილის ქუჩაზე, მედვედევის სახლებში, პერმიკინის გვერდზე.
ახლად დაიბეჭდა და ისყიდება
გრ. ჩარკვიანის
სტამბასა და წიგნთ საწყობში
**დემონი**
პოემა
მ. ლერმონტოვისა
თარგმანი
მამია გურიელისა (ფაზელი)
ფასი 15 კაპ.
(3—0—2)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**
მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. ოკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელის. . . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


**ახალი სტამბა**
მ. შარაძისა ტფილისში

ნიკოლოზის ქუჩაზედ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში,
იქ, სადაც „ივერიის“ რედაქცია იმყოფება, გაიმართა
სრულიად ახალი სტამბა.

სტამბასა აქვს საზღვარ-გარეთიდამ გამოწერილი ახალის სისტემის მსწრაფლ-მბეჭდავი და სხვა და სხვა გვარი მაშინები.

ამასთან გვაქვს ახალი ასოები, როგორც ქართული, აგრეთვე რუსულიცა და სომხურიც. სომხური ასოები გამოწერილია ვენიდგან.

**ყოველ გვარს სასტამბო საქმეს** ქართულ-სომხურ-რუსულს ენებზე
**სუფთად და დროზედ ვაკეთებთ.**

გამოიცა ალექსანდრე როინაშვილის მიერ
**ძმური სიტყვა**
დ. მაჩხანელისა

და ისყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში;
ქუთაისში ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში;
გორში არსენ კალანდაძესთან;
თელავში ილია ზარაფოვთან;
სიღნაღში კოტე ბალაშვილთან და კოტე ნადირაშვილთან.
ოზურგეთში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
წიგნი ღირს ხუთ შაურად. ვინც 10 ცალს ერთად იყიდის გამომცემლისაგან, აბაზად დაეთმობა. (10—79—3)


Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.